საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეკონომიკა

ეკონომიკა (ბერძნ. oikonomikē ტ. ეკონომიის სახელწოდებით პირველად ჩამოყალიბდა აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში, XVII ს-ში. მან წარმოშობიდან დღემდე განიცადა ტრანსფორმაცია სხვადასხვა მიმართულებების სახით (იხ. სტ-ები: ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური მეცნიერება). ე., როგორც ინტეგრირებული სისტემა, შეიძლება სხვადასხვა კუთხით განვიხილოთ: როგორც მეურნეობა, მეცნიერება და კულტურა. როგორც მეურნეობა, იგი შეისწავლის ადამიანთა ურთიერთობის კულტურას მეურნეობრიობის, წარმოების სფეროში და, შესაბამისად, წარმოების კულტურას; როგორც მეცნიერება, იგი სწავლობს და იკვლევს მეურნეობას. ორივე ერთად კი წარმოადგენს კულტურის ნაწილს. წარმოების განვითარების, ეკონ. ძლიერების მიღწევის აუცილებელი, ზნეობრივად გამართლებული, ჰუმანური გზაა წარმოებისა და შრომის ანუ ე-ის სწორი ორგანიზაცია; ბუნებრივი, შრომითი, ინტელექტუალური, მატერ. და ფინანს. რესურსების რაციონალური გამოყენება; სამეცნ.-ტექნიკური მიღწევების დროული დანერგვა წარმოებაში; მეურნეობრიობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების გამოყენება; ობიექტურ შესაძლებლობებზე დამყარებული მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების შედგენა და მათი რეალიზაცია. ბუნებრივად განვითარებადი, გაწონასწორებული ე. ობიექტურად გამორიცხავს ყოველგვარ უკიდურესობას მეურნეობრიობაში. მაგ., ერთნაირად მიუღებელია სახელმწიფოს მიერ როგორც მეურნეობის მართვის ყველა ფუნქციის შესრულება (მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დროს), ასევე მისგან სახელმწიფოს განთავისუფლება (როგორც ეს მოხდა XX ს. 90-იანი წლების საქართველოში და ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში). ეკონ. მეცნიერებისა და სამეურნეო პრაქტიკის უმთავრესი ამოცანაა შეიმუშაოს მეურნეობრიობის ისეთი მეთოდები, პრინციპები და პროგრამები, რ-თა ცხოვრებაში გატარება უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა ფენის, კლასის, ადამიანთა ჯგუფების, თითოეული ადამიანის ინტერესების ურთიერთშეხამებას, ხელშემწყობი ფაქტორების ამოქმედებას და ხელშემშლელი

ფაქტორების გაუვნებელყოფას, წარმოების მამოძრავებელი ძალების მოქმედებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და, ყოველივე ამის შედეგად, ე-ის ბუნებრივ განვითარებას, მის წინაშე მდგარი ამოცანებისა და პრობლემების რაციონალურ გადაწყვეტას. ამდენად, ე. წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობების გარკვეულ მოდელს და, ისევე როგორც ადამიანის შემოქმედების ყველა დანარჩენ სფეროს, მასაც თავისი ადგილი უკავია და ყველა სხვა ურთიერთობათა საფუძვლადაც კი გვევლინება. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე კ ო ნ ო მ ი კ ა იხ. სტ-ებში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; საქართველოს რესპუბლიკა; საქართველო.

გ. ყუფუნია